ქვეპროგრამის დასახელება: <u>სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება</u>

რა არის ქვეპროგრამის არსი?

18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა.

ვინ არიან ქვეპროგრამის ბენეფიციარები?

ქ. თბილისში 150 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

რას მოიცავს ქვეპროგრამა?

დახმარების ოდენობა შეადგენს 800 ლარს წელიწადში და გაიცემა ორჯერადად 400–400 ლარის ოდენობით (მაისი-დეკემბერი).

როგორ უნდა მიიღოს ოჯახმა ბენეფიტი?

თანხა ირიცხება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული ბაზის საფუძველზე, ოჯახის უფლებამოსილი პირის ანგარიშზე, შემდეგი პრინციპით:

- მაისის კუთვნილი თანხის ჩარიცხვა განხორციელდება აპრილის მონაცემთა ბაზის საფუძველზე, ოჯახის უფლებამოსილი პირის საბანკო ანგარიშზე, მომსახურე ბანკიდან ("თიბისი ბანკი") პირის მიერ ბარათის გატანის შესახებ ინფორმაციის მიღბის შემდეგ.
- დეკემბრის კუთვნილი თანხის ჩარიცხვა განხორციელდება ნოემბრის მონაცემთა ბაზის საფუძველზე, ოჯახის უფლებამოსილი პირის საბანკო ანგარიშზე, მომსახურე ბანკიდან ("თიბისი ბანკი") პირის მიერ ბარათის გატანის შესახებ ინფორმაციის მიღბის შემდეგ.